

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

		31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	3 773 721	146 662
		3 773 721	146 662
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	35 490	276 217
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	615 252	626 380
მარაგები	6	1 889 712	831 606
		2 540 453	1 734 203
მთლიანი აქტივები		6 314 174	1 880 865
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1 384 698	1 186 486
		1 384 798	1 186 586
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	7	3 893 393	138 703
		3 893 393	138 703
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	7	221 521	38 568
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	762 810	473 118
საგადასახადო ვალდებულებები		51 652	43 891
		1 035 983	555 576
მთლიანი ვალდებულებები		4 929 376	694 280
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6 314 174	1 880 865

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 20 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზაქარაძე



6-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განხილვის შედეგად წაწილია

შპს „ბასა სერამიკა“


მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარში)

		31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	9	5 229 290	3 796 137
თვითღირებულება		(3 014 730)	(2 366 599)
საერთო მოგება		2 214 560	1 429 538
სხვა შემოსავლები		19 135	15 774
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	10	(1 147 442)	(1 011 711)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	11	322 572	(113 621)
სხვა ხარჯები		(709)	(985)
საოპერაციო მოგება		1 408 116	318 995
ფინანსური შემოსავალი	12	37 423	12 615
ფინანსური ხარჯი	12	(104 153)	(5 365)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	12	(66 730)	7 250
მოგება დაბეგვრამდე		1 341 386	326 244
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		1 341 386	326 244
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით			
მთლიანი სრული შემოსავალი		1 341 386	326 244

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 20 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე



6-14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	100	-	1 281 295	1 281 395
წმინდა მოგება	-	-	326 244	326 244
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	326 244 (421	326 244
გაცემული დივიდენდი	-	-	053)	(421 053)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2020 წლის 31 დეკემბერი	100	-	1 186 486	1 186 586
წმინდა მოგება	-	-	1 341 386	1 341 386
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1 341 386	1 341 386
გაცემული დივიდენდი	-	-	(1 143 174)	(1 143 174)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	100	-	1 384 698	1 384 798

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 20 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

დავით ზარიძე

[Handwritten signature]

6 - 14 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.



შპს „ბასა სერამიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ბასა სერამიკა (შემდგომში – კომპანია) (406024234) დაფუძნდა 2010 წლის 14 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, მოსკოვის გამზ. კორპ. 11, ბინა 13

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა კერამიკული ფილებით: კაფელი, მეტლახი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2020 და 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება, როცა მოსალოდნელია, რომ კომპანია ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს და შემოსავლის გაზომვა საიმედოდაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ როდის გახორციელდება თანხის მიღება. ამონაგების შეფასება უნდა მოხდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისა და გადასახადების გათვალისწინებით. კომპანია საქმიანობს როგორც მარწმუნებელი, რადგან იგი ჩვეულებრივ აკონტროლებს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლისთვის გადაცემამდე. შემოსავალი შემცირებულია უკანდაბრუნებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი საქონლის მიწოდებიდან ამონაგებისა და საპროცენტო შემოსავლების გარდა, აღიარდება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

გადასახადები

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს

გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამოწვევებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოადგენილია შემდეგნაირად:

ცვეთის ნორმა (%)

შენობა	5
ოფისის აღჭურვილობა	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20
ტრანსპორტი	20
სხვა ძირითადი საშუალება	15

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

3. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	დაუმთავრებელ ი მშენებლობა	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
1 იანვარი 2021	-	-	-	29 877	49 030	67 755	146 662
შემოსვლა	5 000	3 660 948	25 667	19 152	2 660	-	3 713 427
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	5 000	3 660 948	25 667	49 028	51 690	67 755	3 860 089
პერიოდის ცვლია	-	(36 523)	-	(18 803)	(13 726)	(17 317)	(86 368)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
ცვლია და გაუფასურება	-	(36 523)	-	(18 803)	(13 726)	(17 317)	(86 368)
წმინდა საბალანსო ღირებულება	5 000	3 624 425	25 667	30 226	37 965	50 438	3 773 721
1 იანვარი 2021	-	-	-	-	-	-	146 662
31 დეკემბერი 2021	5 000	3 624 425	25 667	30 226	37 965	50 438	3 773 721

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020	2021
ნაღდი ფული საღაროში	3 740	9 218
ეროვნული ვალუტა ბანკში	271 228	20 951
უცხოური ვალუტა ბანკში	1 248	5 321
სულ	276 217	35 490

5. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	246 879	71 743
გადახდილი ავანსები	204 287	69 946
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	-	-
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	175 215	473 563
სულ	626 380	615 252

6. მარაგები

მარაგები

	2020	2021
ნედლეული და მასალები	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-
მზა პროდუქცია	831 606	1 889 712
სულ	831 606	1 889 712

7. სესხები

გრძელვადიანი სესხების დაფარვის ვადაა 18 აგვისტო 2028 წელი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 4,5 %. 2021 წლის 18 აგვისტოს უძრავი ქონების შესყიდვის მიზნით შპს ბასა სერამიკამ დამატებით 1139316 ევროს ოდენობის საბანკო სესხი აიღო.

სესხები	2020	2021
გრძელვადიანი		
საბანკო სესხები	138703	3 893 393
	138 703	3 893 393
მოკლევადიანი		
საბანკო სესხები (მოკლევადიანი)	38 568	221 521
	38 568	221 521
სულ სესხები	177 271	4 114 914

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2020	2021
სავაჭრო ვალდებულებები	295 215	705 037
მიღებული ავანსები	177 903	12 073
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	-	45 700
სულ	473 118	762 810

9. ამონაგები

შენიშვნა 9		
ამონაგები		
	2020	2021
საქონლის გაყიდვა	3 796 137	5 229 290
სულ	3 796 137	5 229 290

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2021
შრომის ანაზღაურება	(479 063)	(672 007)
მივლინების ხარჯები	(2 867)	(3 109)
სხვა ხარჯი	(189 472)	56 252
ტრანსპორტირების ხარჯი	(77 732)	(204 804)
იჯარის ხარჯი	(191 556)	(199 285)
ოფისის ხარჯი	(9 449)	(18 865)
კომუნალური ხარჯები	(9 101)	(14 476)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(4 585)	(4 780)
ცვეთა და ამორტიზაცია	(47 885)	(86 368)
სულ	(1 011 711)	(1 147 442)

11. სხვა შემოსულობა/(ზარალი)

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	322 572
სულ	322 572

12. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

ფინანსური ხარჯი	2021
მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(104 153)
სულ ფინანსური დანახარჯები	(104 153)

ფინანსური შემოსავალი	
გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	37 423
სულ ფინანსური შემოსავალი	37 423
ნეტო ფინანსური დანახარჯები	(66 730)

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.

14. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია მფლობელის მიერ 2022 წლის 20 ივნისს

